საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2764
21/06/2022

2764-21-2-202206211206

შპს „ქიმანტიკორს“
მის: დაბა ბაკურიანი, დასახლება „ანდეზიტი''
ელ. ფოსტა: natelagogoladze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1781 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, ანდეზიტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.
გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „მიმდინარე პერიოდისათვის მოცემულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მხოლოდ სამსხვრეველას მონტაჟი, რაც შეეხება სხვა სახისა და დანიშნულების სტაციონარულ ობიექტებს, ტერიტორიაზე ამ ეტაპზე არ ფიქსირდება“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 640 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოდან დაახლოებით 444 მეტრში მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 64.30.03.188), რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, დაზუსტებას

საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის შეტანიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- „პროექტის აღწერის“ თავში მითითებულია, რომ „წყლის მდინარიდან აღება მოხდება ტუმბოს მეშვეობით და მიწისქვეშა მილით მიეწოდება სამსხვრეველას“. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა და მიწისქვეშა მილის პარამეტრები;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს წყალაღებისათვის გათვალისწინებული მიწისქვეშა მილის განთავსების პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის/გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის, საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ შპს „ქიმანტიკორი“ ანდეზიტის დასახლებაში (ს/კ: 64.30.03.488) ფლობს მეორე საწარმოს - ქვის სახერხ საამქროს, რომელიც საპროექტო საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 490 მეტრით. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, მათ შორის საწარმოების ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზს უახლოეს მოსახლემდე არსებული დაშორების გათვალისწინებით, ასევე, ინფორმაციას ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტისა და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო